ახალი გზნებული

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

14 - 27 ოქტომბერი 2015 წელი №19 №8101 ელფოსტა : axaligantiadi@gmail.com.

22 წლის წინ, 27 სექტემბერს ...

“საქართველო! შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!”

გვ4.

84-ე წელია ჩვენი გაზეთი იწერება, ვგრიგოვებმა, ინახავენ რეიონის ისტორიას, ხალხს ეს უხლის ყვითელ ჭრილებს, ჟმნის ჩვენი ცხოვრების შეფასებებელ მეცნიერებს ... გამოიწერეთ “ახალი გზნებული” და გახლით ჩვენი მკითხველი

14 ოქტომბერი - მეხეთობა, სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული

გვ2-7.

სამშობლოს შეწირული სიცოცხლე

გვ5.

ცეცხლი ჯალოჯი, რომელიც

... გვ2-7.



1993 წლის 25 სექტემბერი ყველაზე მძიმე დღე იყო კასპის ბატალიონისათვის და არა მარტო მათთვის. ერთ-ერთი ინტენსიური შეტევის დროს კი, მეორედ და სასიკვდილოდ დაიჭრა ტარიელ შარიფაშვილი.

“ერთი ცეცხლი ცოვლოდში”

გვ6.



გვ2.

კასპის ბატალიონის მეთაურის გახსენება

გვ3.

სასმელი წყლის მაგისტრალი 2 500 გრძივ მეტრზე

გვ3.

ჯანმრთელ ჯანზოთ ახალი ცეზონი თბილისის ოლიმპიადაზე

გვ3.

მინისფეხბურთელთა ფურცილი

გვ4.

გვ2

შეგიძლიათ, მოგვწოლთ თქვენი შვილების, შვილიშვილებ-ის ორიგინალური ფოტოები, ნახატები, ვიდეები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

გვ3.

,,ახალი გზნებული,, იძიებს ნაინტერესო ფოტოებს ნაგზეთი ფოტოშაკიანის შესაბამისად. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - ლაფოვით თქვენი ყველა! გამოგვიგზავნეთ ნაინტერესო ლა ნახალოები!

გვ6.

ათასწლეულების განმავლობაში ქალაქი მცხეთა სხვა კავკასიურ ცივილიზაციებთან კავშირში ცხოვრობდა, ვითარდებოდა, იცვლიდა ზნეს, რელიგიებს, მმართველებსა და იერსახეს. ამის საბუთად არსებობს არქეოლოგიური ძეგლები, ეპიგრაფიკული მასალა, წერილობითი წყაროები. ე. წ. "დიდი მცხეთა" რომელიც ადრეულ და შუა ბრინჯაოს ხანაში ახლანდელ ქალაქსა და მის შემოგარენს, სამთავროს, წიწამურს, ზემო ავჭალას, ნარეკვავს და სხვა ტერიტორიებს აერთიანებდა, ერთობ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. დღევანდელი მასშტაბებითაც კი, საკმაოდ დიდი ქალაქი იყო.

პირველი ათასწლეულის III-IV საუკუნეებამდე მცხეთა ყალიბდება ეთნიკურად ჭრელ, ტოლერანტულ ქალაქად, სადაც აშკარად გამოკვეთილია სოციალური და პროფესიული ნიშნით დიფერენცირებული ჯგუფები. ამავე პერიოდში იგი ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრი გახდა, საერთაშორისო სავაჭრო გზებით, ხმაურიანი ბაზრებითა და სახელოსნოებით.

ყოველ უბანს თავისი გალავანი და პროფესიული სტატუსი ჰქონდა. სარკინეში ლითონის დამუშავებას მისდევდნენ და საიდუმლო შენადნობით რკინის მკვეთელ ხმლებს ამზადებდნენ; წიწამურში მხოლოდ სოფლის მეურნენი ცხოვრობდნენ, კარსნისხევში მეთუნეები... გალავანს შიგნით, ყოველ უბანში იშვიათი არქიტექტურული წესრიგი სუფევდა. საცხოვრებელი სახლები მთის კალთებზე იყო შეფენილი და თავქვე დაშვებული ქუჩები ერთ მოედანზე შეიყრებოდნენ. უბნებს საკუთარი წყალსადენები, აბანოები და სავაჭრო სახლები ჰქონდა. ვაკე ადგილებში სახელოსნოები, ხილის ბაღები და ვენახები გაეშენებინათ. ცალკეული საუბნო ციხესიმაგრეებით, მთლიანობაში, ერთიანი, დიდი ქალაქის თავდაცვის სისტემა იქმნებოდა /სამ მეტრამდე სისქისა და რვა მეტრამდე სიმაღლის კედლებით, ოთხკუთხა კოშკებით/.

გორაკებზე იდუმალი კერპები აღმართულიყვნენ — აინინა და ინინა, ზადენი — წიწამურის მაღლობზე, ხოლო მრისხანე არმაზი — ბაგინეთის მთაზე. აქვე იყო მეფეთა რეზიდენცია.

გათხრების დროს გამოვლინდა იშვიათი ხუროთმოძღვრული, სამხედრო-თავდაცვითი და ყოფითი კულტურა, რომელიც იმდროინდელ ქართველთა მაღალ ინტელექტსა და მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან კავშირზე მიუთითებს. მხოლოდ პიტიახშების რეზიდენციის ნაშთების მიხედვითაც კი შეიძლება იმსჯელო მათი ყოფის დახვეწილობისა და თავისებურების შესახებ—ანტიკური ხანის სვეტისთავები, ბაზები, პროფილირებული ლავგარდნები, ნახევარწრიული კამარებით დამშვენებული გადახურვები, მშრალი წყობით ნაგები ქვის აკლდამა, მრავალგანყოფილებიანი და მრავალფუნქციური აბანოები, ფორმითა და ტექნოლოგიით გამორჩეული მცხეთური კრამიტი და სხვა.

რომაელმა მხედართმთავარმა პომპეუსმა ძვ. წ. I საუკუნეში, 65 წელს დალაშქრა ქალაქი. საერთოდ, იმ ეპოქის ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას ძლიერ შტრიხებად გასდევდა მაზდეანური სპარსეთის გავლენები და რომაული ექსპანსია, მაგრამ ამ ქალაქის უმთავრესი ისტორიულ-მისიონერული ფუნქცია მაინც ქრისტიანობის,



სვეტიცხოვლი, რომელშიც ...



როგორც ქართველთა უმთავრესი რელიგიის მიღებასა და გავრცელებაში მდგომარეობს.

IV საუკუნეში კაბადოკიელ ქალწულს ნინოს ღვთისმშობელი გამოეცხადა და იგი საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად მოავლინა. იგი მცხეთას ვაზის ლერწებისაგან საკუთარი თმით შეკრული ჯვრით მოვიდა და ისეთი სასწაულები და მადლი დააფრქვია, ქართლის მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ 337 წელს ქრისტე იწამეს. მალე ახალმა რელიგიამ სახელმწიფო სტატუსი შეიძინა.

VI ს. დასაწყისში, რაკიღა მეფე დაჩი I-მა მამის — ვახტანგ გორგასლის ანდერძს უერთგულა და დედაქალაქი თბილისში გადაიტანა, მცხეთა მხოლოდ საეკლესიო ცენტრად დარჩა. აქვე ცხოვრობდნენ ქართველი პატრიარქები. მიწყივ მოღვაწეობდნენ ბრძენი მწიგნობრები და კალიგრაფები, რომელთაც დიდი წიგნთსაცავი შექმნეს. დღემდე ქალაქის სილუეტი ულამაზესი ტაძრების ქანდაკებრივი ფორმებითაა კონტურირებული, მიუხედავად იმისა, რომ მცხეთას მრავალ თავდასხმათა შორის, ორი კატასტროფული შემუსვრა ახსოვს. ერთი — მურვან ყრუდ წოდებული არაბი სარდლისა (VIIIს), რომელმაც ბევრ სხვასთან ერთად, უდიდესი გულმოდგინებით დაანგრია არმაზ-ციხე და, მეორე — თემურ ლენგისა (XVს.), რომლის დროსაც უმოწყალოდ დააზიანეს სვეტიცხოველი.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ქალაქი თითქოს დროში გავრცობილად ქრებოდა და ნელ-ნელა კარგავდა სასიცოცხლო ენერგიას. თავად განსაჯეთ, XIX ს-ის დასაწყისისთვის, როცა რუსეთმა საქართველო დაიპყრო, იგი ერთი პატარა სოფელიღა იყო.

საქართველოში შემორჩენილ ტაძართა შორის უდიდესის, სვეტიცხოვლის შინაარსი (ცოცხალი სვეტი) და საკრალური მნიშვნელობა ბიბლიურ ცხოვრების ხესთანაა ასოცირებული. ლეგენდის თანახმად უფლის ჯვარცმის შემდეგ, იერუსალიმში მყოფ მცხეთელ ებრაელებს წილად ხვდათ ქრისტეს კვართი. ელიოზ მღვდელმა იგი თავის მართლმორწმუნედას — სიდონიას მცხეთაში ჩამოუტანა. მან კვართი გულში ჩაიხუტა და მიიცვალა. სიდონია ქრისტეს კვართითურთ დაკრძალეს. მის საფლავზე სასწაულებრივი ხე ამოვიდა, რომელიც შემდგომ ხითხუროებს ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ და მისგან შვიდი სვეტი დაუმზადებიათ. ერთ-ერთი მათგანი სახილველადაც ფრიად საოცარი და საკვირველთმოქმედი ყოფილა. იგი ვერანაირი ძალისხმევით ვერ გადაუადგილებიათ. მხოლოდ წმინდა ნინოს მიერ აღვლენილი ვედრების შემდეგ ზუსტად იმ ადგილას აღმართულა, სადაც მაცხოვრის კვართი სიდონიასთან ერთად დაფლეს. სწორედ აქ აშენდა პირველი ტაძარი, რომლის საძირკვლის კვალს XX ს-ში მიაკვლიეს; ხოლო ის სვეტიცხოველი, რომელიც XI ს-ის დასაწყისში მელქისქედეკ კათალიკოსის ბრძანებით ხუროთმოძღვარ არსუკისძეს აუგია, ისეთი მშვენიერი და მასშტაბურია, რომ მისი სახელი, შეიძლება, დიდი ასოებითაც დაწერო.

სივრცეში დგას ჯვრის სახე გუმბათიდან

დასასრული მე-7გვ.

ფოტოებზე: დ. ერმაკოვი "მცხეთობა,"

გრიგოლ გაგარინი "საქართველოს სურათები,"

მცხეთა XXI საუკუნის დასაწყისი.

მცხეთობა, სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული იმართება ქ. მცხეთის საკათედრო ტაძარში, სვეტიცხოველში, 14 ოქტომბერს (ახ. სტ.). დაწესებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ სადიდებლად კვართისა საუფლოსა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა. ამ დღეს ასევე აღინიშნება მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ხსენებაც.

ლეგენდის მიხედვით, იესო ქრისტეს კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს, ელიოზსა და ლონგინოზს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ. ელიოზმა სიწმინდე მცხეთაში ჩამოიტანა და თავის დას, მართლმორწმუნე სიდონიას გადასცა, რომელმაც კვართი მკერდზე მიიხუტა და სული განუტევა. ელიოზმა თავისი და კვართითურთ დაკრძალა. საფლავზე ამოსულა მშვენიერი ხე, რომელიც ოთხი საუკუნის შემდეგ მეფე მირიანის ბრძანებით ეკლესიის ასაშენებლად მოუჭრიათ ხუროებს, მისგან დაუმზადებიათ შვიდი სვეტი, მათ შორის ერთი, სახილველად საკვირველი და სასწაულმოქმედი, ვერ აღუმართავთ. იგი მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვა-ვედრების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაკრძალული. აქ აშენდა სვეტიცხოვლის ტაძარიც.

ისტორიულად ამ დღეს იმართებოდა დიდი წირვა და მრავალი მლოცველი მოდიოდა საკლავითა და უსისხლო შესაწირავით. წირვის შემდეგ მლოცველები ტაძრის გალავანში შლიდნენ სუფრას და იმართებოდა პურობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ მცხეთობის დღესასწაული აღდგა და ოფიციალურ უქმე დღედ გამოცხადდა. ტრადიციულად ამ დღეს წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აღავლენს სვეტიცხოველში, ხოლო შემდეგ იმართება სახალხო სეირნობა მცხეთის ქუჩებში, საესტრადო და ხალხური შემოქმედების კონცერტები, გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები.

კასპის ბატალიონის მეთაურის გახსენება

სოფელ ზემო ხანდაკში, ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის ყოფილი მეთაურის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის ხსოვნას, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, ეროვნული გვარდიის კასპის ბატალიონის ყოფილმა თანამებრძოლებმა და მისმა ქალიშვილმა თამარ შარიფაშვილმა პატივი მიაგეს.

პოლკოვნიკი ტარიელ შარიფაშვილი 25 სექტემბერს, სოხუმის დაცვისას გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. იგი ომის დაწყებიდან სიცოცხლის ბოლო წუთამდე კასპის ბატალიონთან ერთად ცხელ წერტილებში იბრძოდა. საქართველოს მთავრობამ გარდაცვალების შემდეგ პოლკოვნიკი ვახტანგ გორგასალის სახელობის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

სასმელი წყლის ახალი მაგისტრალი 2 500 გრძივ მეტრზე

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, გამყოფი ხაზისპირა სოფელ თვაურების მოსახლეობა სასმელი წყლით უზრუნველყო.

წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, სასმელი წყლის ახალი მაგისტრალი 2 500 გრძივ მეტრზე მოაწყო. დაამონტაჟა 10 ტონის ტევადობის სასმელი წყლის ავზი და 3 საუბნო ონკანი დააყენა.

განხორციელებულმა პროექტმა სოფლის 50 ოჯახს სასმელი წყლის პრობლემა მოუხსნა. მოსახლეობა კმაყოფილია წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ შესრულებული სამუშაოთი და მადლობას უხდის მის ხელმძღვანელობას.

იგება ასფალტი



ქალაქ კასპში, მიკრორაიონის დასახლებაში მიმდინარეობს მირიან მეფის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები. სამუშაოებმა იგივე ქუჩის - მეორე მონაკვეთზე გადმოინაცვლა. აღნიშნული მონაკვეთი დამრეცი ადგილმდებარეობის გამო მუდმივი პრობლემა იყო მოსახლეობისათვის. ბუნებრივი ნალექების შედეგად წყალი ნიაღვრად მოედინებოდა და ქუჩა გაუვალი იყო.



ამჟამად ქუჩაზე ეწყობა სანიაღვრე არხი და იგება ასფალტი, რაც მოსახლეობას კომფორტული გადაადგილების საშუალებას მისცემს.

,,ახალი გზითიალი,, იძებნება ბავშვებისა ბუჩალებისა ბავშვების ბავშვობის ბავშვობით ოთხი-მეტიანის შერჩევნილია. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - ოფლოვით თქვენი ოჯალი ბავშვს მეტიანეში! გამოგვიგზავნეთ ბავშვების ლინკი ან ბავალი ოთხები!

მასალებს შეუძლია მიგვწოდოს შემეცნებით-გასართობი მასალები, სავსებით ურთხვორდები. დანდერებულ მასალებს შეუძლია მიგვმართოს მისამართზე - ყასპი, სასყიძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

გამოგვიგზავნეთ! მუშაობა - წელიწადის მესამე დონე ილოდეა თქვენს გამოხმაურებას. მოაბრძანდით მიდაქციაში. გაეგებანით თქვენი ნამუშევრები (ნამუშაოდ ინერგ ილუსტრაციული ვერსია) და ეაცანით ინერი ნაზოადოებას.

საქველმოქმედო კონცერტი

კასპის კულტურის ცენტრს საესტრადო ვოკალური ანსამბლი "იმედი" ეწვია. ანსამბლმა კულტურის ცენტრში სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის საქველმოქმედო კონცერტი ჩაატარა და კონცერტის დასასრულს საჩუქრებიც გადასცა.

კონცერტში მონაწილე პატარა მომღერლებმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინეს ასევე პატარა მაყურებლებზე, რომლებმაც აპლოდისმენტები უხვად გაიღეს და სცენაზე მომღერლებთან ერთად დიდხანს ცეკვავდნენ. ანსამბლი 33 წელია არსებობს და ბევრი თაობა აღზარდა, რომელსაც მრავალ ქვეყანაში, საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალსა და სატელევიზიო პროექტებში აქვს მონაწილეობა მიღებული.

ანსამბლის უცვლელი ხელმძღვანელია კომპოზიტორი ნიკოლოზ თითირაშვილი, პედაგოგორგანიზატორი მარიამ სიფრაშვილი, ხოლო ქორეოგრაფი ჯანო თითირაშვილი.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ყველაზე ახალგაზრდა ნიჭიერი თბილისელი ფლოტელიგზე

სექტემბრის მესამე დეკადიდან დაიწყო ქ. თბილისის ელიტლიგის პირველობა ფეხბურთში 1999 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის. კასპის საფეხბურთო სკოლის გუნდმა "განთიადმა" წინა გათამაშებაში ერთობ საპატიო შედეგს მიაღწია: დედაქალაქის წარმომადგენელ 13 გუნდს ეასპარეზა და, საბოლოოდ, მე-6 ადგილი დაიკავა. და, აი, ახალი სეზონი... ახალი ამოცანები... ვნახოთ, კასპელი 15-16 წლის ყმაწვილები როგორ ითამაშებენ 2015-16 წლების (შემდგომა-გაზაფხულის) სეზონზე, ჩვენ თვალს მივადევნებთ მათ გამოსვლებს და სიტყვასაც შევაწევთ, ცხადია, მათივე ხელშეწყობისა და წახალისების მიზნით.

ახლა სასტარტო სამი თამაშის შესახებ, რომელთაგან ჩვენმა ჭაბუკებმა ორი სტუმრად ითამაშეს:

სასტარტო მატჩს, თბილისის უნივერსიტეტის გუნდთან, წარმატებული შეიძლება ეწოდოს, რადგანაც ლეხურისპირელებმა თბილისიდან ერთი ქულის წამოღება მოახერხეს. მათ პირველი ტაიმი მოიგეს ერთი ბურთით. მართალია, მეორეში ორი გოლი გაუშვეს საკუთარ კარში, მაგრამ თამაშის მიწურულს ანგარიშის გათანაბრება (2 : 2) შეძლეს. განთიადელთაგან გოლები გაიტანეს რევაზ მაჭარაშვილმა და თორნიკე თაგვიაშვილმა.

მეორე მატჩში საკუთარ მოედანზე (რომელიც, გულახდილად უნდა ითქვას, სათანადოდ მომზადებული არაა მიმდინარე სეზონისათვის) მიიღეს თბილისის "მთვარის გლობუსის" გუნდი. მასპინძლების, საერთო სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, (არც თუ მსაჯის დაუხმარებლად), იგი "მშრალად" დათმეს (0 : 2).

თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლა (ოდინდელ სახელსა და სიძლიერეს დღემდე ინარჩუნებს. ამ სკოლის გუნდებთან თამაში ყველასათვის თავისებური გამოცდაა. ამჟამად მას სათავეში უდგას ბავშვთა ცნობილი მწვრთნელი გოჩა ავსაჯანიშვილი, რომელიც, იმავე დროს, წვრთნის საქართველოს 15-16-წლიან ჭაბუკთა ნაკრებს. აქედან გამომდინარე, ფრიად ძლიერ მეტოქესთან პაექრობაში ჩვენებურებს როგორც იტყვიან, ხელი (უფრო ზუსტად – ფეხი!) მოეცარათ.

... "განთიადი - 1999" მომდევნო თამაშს სოფელ სამთავისის საფეხბურთო მოედანზე ჩაატარებს ქ. რუსთავის გუნდთან.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

"საქართველო! შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!"



საქართველოს უახლეს ისტორიაში სოხუმის დაცემაზე მტკივნეული დღის მონახვა შეუძლებელია. 22 წელია სექტემბრის მიწურულს ჩვენი მეხსიერება უბრუნდება იმ დღეებს ...

1993 წლის 25 სექტემბერი ყველაზე მძიმე დღე იყო კასპის ბატალიონისათვის და არა მარტო მათთვის. ერთ-ერთი ინტენსიური შეტევის დროს კი, მეორედ და სასიკვდილოდ დაიჭრა ტარიელ შარიფაშვილი.

26 სექტემბერი, დილა ... ვინც იმ დღეს კასპის გამგეობის შენობაში იყო ვერასოდეს დაივიწყებს უღონობისა და უსასრულო უიმედობის განცდას - ტარიელ შარიფაშვილი მართლა მოკვდაო?! ქალაქის ყველა მხრიდან უწყვეტ ნაკადად მოდიოდა ხალხი... ვერ ვიჯერებდით, რომ მას სიკვდილი მოერეოდა... ასე არავის გარდაცვალება შეუცხადებია ჩვენს ქალაქს.

რამდენადაც მტკივნეულია სოხუმის დაცემის დღის გახსენება, იმდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისათვის ახსნა, გნებავთ შეხსენება იმ მოუშუშებელი უკუსვლისა...

სოხუმის დაცემის დღეს - 27 სექტემბერს რესპუბლიკური პარტიის კასპის ორგანიზაციამ კულტურის სახლში გამართა ღონისძიება "საქართველო! შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!"

დამსწრე საზოგადოებასთან ერთად სოხუმში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ხსოვნას პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლმა ვეტერანებმა, დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახის წევრებმა, მეუფე დამიანემ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს რესპუბლიკური პარტიის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ხათუნა თათანაშვილმა, საქართველოს პარლამენტის წევრმა დავით ონოფრიშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა, აფხაზეთის ომის ვეტერანმა გოჩა კობაურმა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო რესპუბლიკური პარტიის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ხათუნა თათანაშვილი. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ილია ბერიანიძე, ნოდარ ქურთაული, ტარიელ მიდელაშვილი, ზაზა გეჯაძე, გვანცა გერმისაშვილი, მანონი ირემაძე, თამუნა ბიქოშვილი, ელენე ბიტარიშვილი, ნინი მარქარაშვილი, მარი ბაინდურაშვილი.

კომპიუტერულ-ტექნიკური და საორგანიზაციო სამუშაოები უზრუნველყვეს დავით პარკაძემ, დავით ჩხეიძემ, ხათუნა პარკაძემ, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტმა /საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში/ ლია ნიპარიშვილმა, ნინო თათანაშვილმა.

წარმოდგენაში გამოყენებული იყო კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქივის და ომის დოკუმენტური ვიდეომასალა.

მინიფეხბურთელთა ტურნირი

შუა სექტემბერში რაიონის მინიფეხბურთელთა ტურნირზე გაგორებულმა ბურთმა ჩემპიონი ოქტომბრის დასაწყისში გამოავლინა. მასში გაიმარჯვა ქ. კასპის ქეჩარუხის დასახლების გუნდმა, რომელიც ამავე სახელწოდებით გამოვიდა. მის გარდა ქალაქს კიდევ თერთმეტი უბნის გუნდი წარმოადგენდა. აი, სოფლებიდან კი რვა ტერიტორიულმა ორგანომ შეძლო მონაწილეობა (დოესმა, კოდისწყარომ, ოკამმა, ლამისყანამ, რენემ, ქვემო გომმა, ახალქალაქმა და ქვემო ჭალამ). მათგან ყველაზე უკეთ იასპარეზეს სოფელ ახალქალაქის მინიფეხბურთელებმა, რომლებმაც ფინალს უწიეს...

5 ჯგუფში კენჭისყრით განაწილებული გუნდების უმეტესობამ თავიანთი შესაძლებლობანი ერთი-ორი თამაშის შემდეგ გამოავლინეს. აი, ფავორიტებად მიჩნეულებმა კი ჯერაც მოედანზე გასვლამდე არ დამლეს განაზრახი, რომ კვლავაც აპირებდნენ წინა გათამაშებებში მიღწეული წარმატებების გამეორებას (თუ გახუთმაგებას). ასეთი გუნდები იყვნენ, უპირველესად, ამერი – 2014 წლის ტურნირის ჩემპიონი და ცსკა – 4-გზის ზედიზედ გამარჯვებული, რომელსაც ტურნირის მთავარი პრიზი (თასი) ამიტომაც სამუდამო მფლობელობაში გადასცემოდა.

ორივე გუნდმა კიდეც გაამართლა ტურნირის ორგანიზატორთა მოლოდინი და საკუთარი გულშემატკივრების სიმპატიები:

ცსკამ გათამაშების ორივე ეტაპზე სტაბილური თამაში აჩვენა, ხუთი მეტოქე დაამარცხა, გატანილ-გაშვებული ბურთების ბალანსით 45:19-ზე (მათ შორის ორი მოიგო 11 და 7-ბურთიანი სხვაობით) და მხოლოდ ნახევარფინალური შეხვედრა დათმო მომავალ ჩემპიონთან. ამიტომ მას მესამე ადგილისათვის ბრძოლა მოუხდა სწორედ ამერთან... ამ უკანასკნელმაც (ანუ მოქმედმა ჩემპიონმა, რომელმაც შარშან მოგებული თასი ფინალური მატჩის დღეს წარმოადგინა ახალი ადრესატისათვის გადასაცემად) არანაირი შანსი არ დაუტოვა ოთხ მეტოქეს, მაგრამ ნახევარფინალში ისიც წაფორხილდა მომავალ ფინალისტთან და, ამრიგად, მხოლოდ მესამე ადგილისათვის შეემეტოქა, როგორც ზემოთ ითქვა, ამ ტრადიციული ტურნირის ყველაზე მეტჯერ მომგებ ცსკას გუნდს. ანუ, ეს ორივე გუნდი ფინალს უმიზნებდა, მაგრამ მის წინარე თამაშში გადაეყარა ერთმანეთს: ანგარიში ცსკა-ს ჭაბუკმა მოთამაშემ თორნიკე თაგვიაშვილმა გახსნა უკვე მეორე წუთზე. ორიოდე წუთში ამერელმა ონისე ონიაშვილმა გაათანაბრა და პირველი ტაიმი (20 წუთი) ფრედ გასრულდა. მეორის დასაწყისში თავი გამოიჩინა "არმიელმა" პაატა საგიაშვილმა, რომელმაც თავისი მონაგარი ამით 22 გოლამდე დააგვირგვინა (იგი გათამაშების პირველი გოლეადორი გახდა). ამის შემდეგ ცსკა-მ უპირატესობა უფრო გაზარდა – გიორგი ნაროზაშვილის გატანილს იმავე თორნიკე თაგვიაშვილმა ორი მიამატა, რითაც საკუთარ აქტივში მეთორმეტე ბურთი მიითვალა, და, საბოლოოდ, ორბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა (5:3). წარმოგიდგენთ ტურნირის მესამე პრიზიორი გუნდის შემადგენლობას:

გიორგი ქურთაული, მერაბ მერებაშვილი, ლევან გამხიტაშვილი, პაატა საგიაშვილი, გიორგი ნაროზაშვილი, გიორგი შაველაშვილი, ალიკა მანძულაშვილი, ლევან გახელაძე, ბასო კოხრეიძე, თორნიკე თაგვიაშვილი, მამუკა ახლოური და ნიკა შალუტაშვილი.

... დიახ, ფავორიტები რაკი ნახევარფინალში შეფერხდნენ, ცხადი გახდა, რომ თასს ახალი მფლობელი ეყოლებოდა. ესენი კი იყვნენ ქეჩარუხისა და ახალქალაქის გუნდები. ამ უკანასკნელს პირველობაზე მონაწილეობის უფლება, იქაურთა დაჟინებული თხოვნით, სხვა გუნდის სანაცვლოდ დართეს და კინაღამ მინისასწაული მოახდინა, იმდენად ძლიერი გუნდი გამოიყვანა, რომ ფინალურ მატჩში მონაწილეობას წინასწარ უწინასწარმეტყველებდნენ და იქ თუ გამოუჩნდებოდა მძლეველი, ესეც საკითხავი იყო... ახალქალაქელთაგან სტაბილურად გაისარჯნენ ნიკა ჭოხონელიძე (8 გოლი) და გიორგი გოცირიძე (7 გოლი). მათ სხვებმაც თანაბრად აუბეს

*გაგრძელება 5-გვ.

გვახსოვს აფხაზეთი!

საქართველოს ისტორიამ შემოინახა ავბედითი, საკრალური სექტემბერი... უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში სწორედ სექტემბერში დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას ენით აუწერელი და შემზარავი ტრაგედიები, რომლებმაც განსაზღვრეს და გადაწყვიტეს საქართველოს მომავალი განვითარების გზა... გავიხსენოთ თუნდაც საუკუნეების წინანდელი, საქართველოს ისტორიაში ცნობილი ყველაზე მძიმე თარიღი, კრწანისის ტრაგედია, რომელიც სწორედ სექტემბერში მოხდა... კრწანისის ტრაგედიიდან, უფრო ზუსტად 198 წლის შემდეგ, 1993 წლის სექტემბერში კიდევ ერთი საზარელი ფურცელი ჩაიწერა...

27 სექტემბერს რუსეთის რეგულარული სამხედრო ნაწილებით ზურგგამაგრებულმა ბაგრამიანის სომხურმა ბატალიონმა, კბილებამდე შეიარაღებულმა ჩრდილო კავკასიელმა დაქირავებულმა მკვლელებმა, კაზაკებმა და აფსუებმა შტურმით აიღეს სოხუმი და ხერხემალში გადატეხეს საქართველო... რუსეთის მიერ ინსპირირებულ, წაქეზებულ, ძმათამკვლელი კონფლიქტის შედეგად დაიღუპა 30 ათასამდე მეომარი, ხოლო 300 ათასამდე ადამიანი ლტოლვილად იქცა საკუთარ სამშობლოში... აფხაზეთში, სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში ჩაება უამრავი ჩვენი თანარაიონელი, მშობლებისა და ოჯახის, ახლობლების გაუფრთხილებლად მიდიოდნენ გულანთებული ბიჭები გაგრაში, ოჩამჩირესა და სოხუმში. კასპის ბატალიონის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ტარიელ შარიფაშვილმა, რომელიც მძიმედ დაიჭრა, არამც და არამც არ მიატოვა საბრძოლო პოზიცია და მომაკვდავმა გააგრძელა ალყაში მოქცეული სოხუმის რკინიგზის სადგურის დაცვა, კასპის ბატალიონის სამოცზე მეტმა მეომარმა მიიღო სხვადასხვა სირთულის ჭრილობა. ოცდახუთი ვაჟკაცი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე... ჩვენი პატარა ქალაქის, კასპის ცენტრში აღმართულ, სამშობლოსათვის თავდადებულთა ობელისკთან ყოველი წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს იკრიბებიან მოსწავლეები და ახალგაზრდები, ყოფილი გვარდიელები, ვეტერანები, რათა პატივი მიაგონ სამშობლოს შეწირულთა ხსოვნას. აფხაზეთის თემაზე – ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა სოხუმის დაცემის დღიდან, 27 სექტემბერი მართლაც რომ საკრალური თარიღია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, – განაცხადა შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოსვლისას ბიბლიოთეკის დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა, – აფხაზეთის თემა, განსაკუთრებით კი სოხუმში გადატანილი საბრძოლო ბატალიები, რომლებთანაც დაკავშირებულია ბევრი ჩვენი თანარაიონელის თავგანწირული სიცოცხლე, დარწმუნებული ვარ მუდამ იქნება ჩვენი საფიქრალი, მეტიც, ჩვენი მეხსიერებიდან არ წაიშლება. კასპის ბატალიონის შექმნის ისტორიაზე, მეთაურის და მეომრების თავგანწირულ ბრძოლებზე გაამახვილეს ყურადღება თავიაანთ გამოსვლებში ბიბლიოთეკის სპეციალისტებმა: მაია ქესაურმა, ლია მენაბდიშვილმა, მაია აბუაშვილმა, ეკა დალაქიშვილმა, ხათუნა ბახუაშვილმა, კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპეციალისტმა ლია ნიპარიშვილმა.

კასპის ბიბლიოთეკა.

"სამშობლოს შეწირული სიცოცხლე"

,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას მრავალი მამულიშვილის სიცოცხლე შეეწირა. ეს ვაჟკაცები ჩვენს ისტორიაში შევიდნენ საქართველოსთვის თავგანწირულ გმირებად, ხოლო სულნი მათნი მიემატება საქართველოს სულიერ მხედრიონთა რიცხვს, რომელნიც ღვთის წინაშე ლოცვით კვლავ იცავენ ჩვენს სამშობლოს. უფალმა დალოცოს და დაამკვიდროს ისინი თავის ზეციურ სავანეთა შინა, სადაც ჩვენი დიდნი წინაპარნი განისვენებენ. ღმერთმა დალოცოს საქართველოს ამ რჩეულ შვილთა მშობლები და ოჯახები".

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

ისაუბრეს, სოხუმის დაცემის უმძიმესი დღეები გაიხსენეს კასპის ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ბიბლიოთეკისა და მუზეუმების გაერთიანების წარმომადგენლები.

მინიფეხბურთელთა ტურნირი

***გაგრძელება**

მხარი: თორნიკე მაჭავარიანმა ფინალში ორი გოლი ირგო, მისმა სეხნიამ, თორნიკე კირკიტაძემ – ოდენ ერთი, მაგრამ ის სულაც ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ იქნა აღიარებული, რისთვისაც სპეციალური პრიზი გადაეცა... გაგაცნობთ მათ სხვა თანაგუნდელებსაც: სანდრო კაპანაძე (4 გოლი), გიორგი დავლაშერიძე (3), ნიკა გაზაევი, ირაკლი მეზურნიშვილი (1), ბაჩო მარჯანიშვილი (4), ირაკლი თაბორიძე (მეკარე).

მაშ, ასე, ფინალური მატჩი – ქეჩარუხი - ახალქალაქი:

კასპის გუნდის გულშემატკივართა სასიხარულოდ, ანგარიში სწრაფად, უკვე მეორე წუთზე, გაიხსნა: პირველი საფინალო "ნული" "ერთიანად" გარდასახა ბექა დაბრუნდაშვილმა (იგი დასახელდა კიდეც ტურნირის საუკეთესო თავდამსხმელად). ახალქალაქელებმა ტაიმის შუა მონაკვეთში საპასუხო გოლი შეაგდეს, მაგრამ დამთავრებამდე საკუთარში კიდევ ორი "ჩხვლეტა" მიიღეს კასპელი ვალერი ზანგურის ფეხიდან.. მეორე ტაიმი უფრო ცხოველი შეტევებით განაახლეს და ოთხიოდე წუთიან მონაკვეთში ანგარიში წონასწორობა აღადგინეს კიდეც – 3:3. ამას კასპელებმა მამუკა შუბითიძისა და გიორგი დაბრუნდაშვილის ბურთები შეაგებეს და სასწორის პინა, ანუ, თამაშის ბედი, როგორც აღმოჩნდა, თავიანთ სასარგებლოდ გადახარეს, რადგანაც მეტოქემ მეოთხე გოლიც კი მოასწრო, მაგრამ თავს ზემოთ ძალა აღარ ეყო. საბოლოოდ, ანგარიში – 5:4 – საკმარისი დარჩა ჩემპიონობისათვის,

აი, ვინ გამოდიოდა 2015 წლის რაიონის მინიფეხბურთის პირველობის პირველადგილოსანი ქეჩარუხის შემადგენლობაში: დათო პარკაძე (მეკარე ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში, მან მაყურებელს საიმედო მოქმედებით მოაწონა თავი), ლაშა სამნიაშვილი (გადაეცა ტურნირის საუკეთესო მცველისათვის დაწესებული ფასიანი საჩუქარი), ჯონი ჯარმელაშვილი, მამუკა შუბითიძე (თანაგუნდელთაგან გაიტანა ყველაზე მეტი ბურთი – 12), ვეფხვია სამხარაძე, გიორგი და ბექა დაბრუნდაშვილები (ფინალში ძმების მიერ გატანილი გოლები ფრიად წონადი აღმოჩნდა, რადგანაც პირველმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, მეორემ კი გახსნა), ვალერი ზანგური (მან არც ერთი თამაში არ დატოვა უგოლოდ, სულ კი 8 გაიტანა), ნოდარ ღუნაშვილი (1 გოლი) და ტარიელ ღვინიაშვილი (3).

... ორკვირიანმა საფეხბურთო ტურნირმა, რომელიც რაიონული მასშტაბის

***დასასრული გვნ.**

"ერთი საღამო ხოვლოში"

დიდი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ხოვლის სახლ-მუზეუმს სტუმარი არ ელევა. აქ მოდიან მოსწავლეები და ახალგაზრდები, პედაგოგები, მეცნიერ-მუშაკები, ისტორიკოსები, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლები. იმართება სამეცნიერო სესიები და საჯარო ლექციები, ტარდება კულტურული ღონისძიებები და საინტერესო შეხვედრები, ხორციელდება სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროექტი...

– უკვე მეოთხე წელია, ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში წარმატებით ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტი სახელწოდებით "პატარა ქართველები", სადაც გაერთიანებულია ხოვლის საჯარო სკოლის 35 მოსწავლე, – აცხადებს სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, პროექტის სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი ანა ბაისონაშვილი, – მოსწავლეების საქმიანობას კარგად იცნობენ / პროექტს ფეისბუკზე აქვს საკუთარი გვერდი "პატარა ქართველები"/ აქაურები იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პროექტში მონაწილე ბავშვების უშუალო მონაწილეობითა და ორგანიზებით ხოვლეში, უკვე მეოთხედ ჩატარდა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ღონისძიება "ერთი საღამო ხოვლეში". საქმე ის გახლავთ, რომ ღონისძიების მოწყობასა და ორგანიზებაში ჩართული იყო მთელი სოფელი, მარტო ახალგაზრდები კი არა, უფროსი თაობის ქართული ტრადიციული წესჩვეულებების მოყვარულებიც მონაწილეობდნენ. დღის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ჯავახიაანთეულ კარმიდამოზე სტუმრების მოსვლა დაიწყო. ისტორიული სახლ-მუზეუმის ლამაზად მორთულ, ფარდაგებითა და ეთნოგრაფიული ნივთებით დამშვენებულ აივანზე გამოფენილი იყო ეროვნული სამოსი, ისმოდა ქართული, ფოლკლორული მუსიკა... ერთმანეთს ენაცვლებოდა მხატვრული კითხვა და სიმღერა-ცეკვა. სახალხო ზეიმის ნამდვილ ეპიცენტრად იქცა სპორტული სანახაობა, კერძოდ კი ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი და თქვენ წარმოიდგინეთ, ნარდიც კი.

– ქართული ჭიდაობა, რასაკვირველია, ტრადიციული მუსიკის თანხლებით ტარდება ხოლმე, რომელიც განთიადულია ხოვლის საჯარო სკოლის 35 მოსწავლე, – აცხადებს სახლ-მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, პროექტის სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი ანა ბაისონაშვილი, – მოსწავლეების საქმიანობას კარგად იცნობენ / პროექტს ფეისბუკზე აქვს საკუთარი გვერდი "პატარა ქართველები"/ აქაურები იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პროექტში მონაწილე ბავშვების უშუალო მონაწილეობითა და ორგანიზებით ხოვლეში, უკვე მეოთხედ ჩატარდა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ღონისძიება "ერთი საღამო ხოვლეში". საქმე ის გახლავთ, რომ ღონისძიების მოწყობასა და ორგანიზებაში ჩართული იყო მთელი სოფელი, მარტო ახალგაზრდები კი არა, უფროსი თაობის ქართული ტრადიციული წესჩვეულებების მოყვარულებიც მონაწილეობდნენ. დღის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც

საკუთრებულ ხიბლსა და ელფერს მატებს სწორედ ასეთი ხასიათის შეხვედრებს, – საუბრობს სახლ-მუზეუმის დირექტორი და ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი მარინე კოშაძე, – სიმბოლური გახლავთ ის ფაქტიც, რომ სპორტულ შეჯიბრს თვალყურს ადევნებენ კომპეტენტური მსაჯები, რომელთა შორის არიან ვალტერ გალუსტაშვილი, ალიკა ჯანანაშვილი, იურა ჯანანაშვილი და დავით ქელეხსაშვილი, ხოლო მკლავჭიდს უკვე მეორე წელია, კურირებს სოფლის დეპუტატი ვახტანგ ხათაშვილი. მოხდა ფრიად საინტერესო პრეცედენტიც, ხოვლის საჯარო სკოლის მეათეკლასელმა ანა ლაგრაძემ სურვილი გამოთქვა ჭიდაობაში მონაწილეობაზე და პრიზიც დაიმსახურა.

ღონისძიების სტუმრები და მონაწილენი საინტერესო სანახაობის მოწმენი გახდნენ, საქმე ის გახლავთ, რომ სპორტულ ასპარეზობას წელს დაემატა ნარდის შეჯიბრიც. სოფლის უხუცესებმა არნახული პათოსი და სულისკვეთება გამოამჟღავნეს ნარდის თამაშისას და დიდი აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს, გამარჯვებული მონარდეები დაჯილდოვდნენ მედლებით, ამ აზარტულ სპორტულ სახეობას ხელმძღვანელობდა სკოლის სპორტის მასწავლებელი ბაჩუკი ხუციშვილი.

ღონისძიებას კიდევ უფრო საზეიმო ელფერი შესძინა გემოვნებით შედგენილმა ფოლკლორულმა საკონცერტო პროგრამამ. საღამო დაამშვენა და-ძმა ანი და ვანო ჯანანაშვილების მიერ ხალხურ საკრავებზე შესრულებულმა მელოდიებმა, ოვაციები გაუმართეს ხოვლელ "მომღერლებს" ზაალ იმერლიშვილსა და გიორგი ბიჭიკაშვილს. სახლ-მუზეუმის ეზოში სახელდახელოდ მოწყობილ გამოფენას ინტერესით ათვალიერებდნენ სტუმრები, აქ იყო წარმოდგენილი ახალგაზრდა მხატვრის ნათია კოშაძის ნახატები, ძალიან საინტერესოდ გამოიყურებოდა სოფლის ფოტო-მატიანეს კუთხეც, აქვე იყო ძველისძველი სკივრებიდან ამოღებული ნივთები, რომელსაც მუზეუმის თანამშრომლები უდიდესი რუდუნებით აგროვებენ და ინახავენ...

საზეიმო ღონისძიებამ "ერთი საღამო ხოვლეში", რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანებისა და ხოვლის სახლ-მუზეუმის ხელშეწყობით გაიმართა, დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც ადგილობრივ, ასევე ფანატიკურად საინტერესო ფორმატი, ხოვლის სკოლის ეზოში ამოდგა ოლიმპიური ფესტივალის "თბილისი – 2015"-ის მოჭიდავე (ძიუდოისტ) ჩემპიონთაგან ვინ თამაშობდა და რომელი გუნდის შემადგენლობაში გამოიჩინა თავი; ან, სტატისტიკის მოყვარული გულშემატკივრებისათვის საინტერესო ინფორმაციის თაობაზე კიდევ ვისაუბრებთ ახლო ხანებში.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

მინიფეხბურთელთა ყურადღებას

***დასასრული.**

სასპორტო შეჯიბრებებში ერთ-ერთი უმთავრესია, ყოველგვარი ინციდენტის გარეშე, მოთამაშეთა მხრიდან ტრავმის მიუღებლად, ორგანიზებულად ჩაიარა, არ აკლდა ინტრიგა და დაძაბულობა, ფინიშისაკენ გასულს უფრო და უფრო მეტი მაყურებელი ჰყავდა, ახლდა უამრავი საინტერესო და გამორჩეული ფაქტი, რაზე საუბარი საგაზეთო ერთ წერილშო შეუძლებელია. იმის შესახებ, მაგალითად, მთელ ტურნირს როგორ მოემსახურა ერთი მსაჯი; როგორ იქცა ტურნირის სასიამოვნო აღმოჩენად ერთ-ერთი გუნდის 13 წლის ყმაწვილი მეკარის ვინაობა, რომელმაც მიიღო კიდეც საუკეთესოსათვის დაწესებული პრიზი; საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილ მოთამაშეთაგან ვინ მონაწილეობდა მასში; ანდა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის "თბილისი – 2015"-ის მოჭიდავე (ძიუდოისტ) ჩემპიონთაგან ვინ თამაშობდა და რომელი გუნდის შემადგენლობაში გამოიჩინა თავი; ან, სტატისტიკის მოყვარული გულშემატკივრებისათვის საინტერესო ინფორმაციის თაობაზე კიდევ ვისაუბრებთ ახლო ხანებში.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

გვხვდით ჩვენი მკითხველი!

განიყვეს სამოსელი ჩემი

როდესაც იერუსალიმში სინედრიონის მიერ მაცხოვრის მისამართით შეთქმულება მზადდებოდა, ანა მღვდელმთავარმა ქართლიდან იხმო ქართველი ურიები ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი.

ელიოზის დედამ გამგზავრების წინ თავის შვილს სთხოვა მესიის სისხლის დათხევაში მონაწილეობა არ მიეღო, რამეთუ "ის არის სიტყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთაგან თქმული".

იმ დროს, როდესაც მაცხოვარს ჯვარზე აკრავდნენ, ელიოზის დედას სასწაულებრივად ესმოდა ჩაქუჩების ხმა. მან შესძახა: მშვიდობით, მეუფებაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მხსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერ შემოქმედისა! და უმალვე განუტევა სული.

ქრისტეს ჯვარცმის დროს მისი სამოსი - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ უკერველად მოქსოვილი კვართი განუყოფელი (დაუნაწევრებელი, დაუჭრელი) დარჩა. მასზე წილი ჰყარეს: და ერისაგანთა მათ, რომელთა ჯუარს-აცუეს იესუ, მოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულმან ერისაგანმან ნაწილი.

ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, ზეით გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განვხიოთ ეგე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზედა, ვისიცა იყოს, რაითა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი. ერისაგანთა მათ ესე ყვეს (იოანე 19,23-24).

ელიოზმა შეუსრულა თავის დას, სიდონიას თხოვნა, ერთ-ერთი რომაელი ჯარისკაცისაგან შეიძინა და მცხეთაში წამოაბრძანა ქრისტეს კვართი.

მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს ქალაქის შესასვლელთან შეეგება სიდონია. გამოართვა ძმას ხელთუქმნელი კვართი უფლისა და უზომო სიხარულით გულში ჩაიხუტა.

... როცა გაიგო მაცხოვრის წამების შესახებ, სიდონია განუზომელი მწუხარებისაგან გარდაიცვალა.

საქართველოს ეკლესიამ მეფე მირიანი და ნანა წმინდანად შერაცხა, როგორც პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფალი, რომელთა გადაწყვეტილებამაც მთლიანად შეცვალა ქვეყნის მომავალი.

მირიან მეფე და ნანა დედოფალი IV საუკუნეში ცხოვრობდნენ. მეფე მირიანი 7 წლისა იყო როდესაც ტახტზე ავიდა. 15 წლისამ კი ცოლად ნანა დედოფალი მოიყვანა. დედოფალი საბერძნეთის მთავარსარდლის ასული იყო. მეფე მირიანი ძალიან განსწავლული ყოფილა. ქვეყნის სიყვარულისა და თავდადების გამო, ხალხიც დიდად აფასებდა.

ამ დროს ქართველები ჯერ ქრისტიანები არ იყვნენ და მეფეც და ხალხიც სხვადასხვა კერპებს სცემდნენ თაყვანს. განსაკუთრებით კი არმაზის კერპს მიაგებდნენ პატივს.

ეს იყო დრო, როცა კაბადოკიელი წმინდა ნინო მცხეთაში ჩამოვიდა რათა საბოლოოდ დაერწმუნებინა ერი და მეფე ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტებაში. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთხელ ნანა დედოფალი მძიმედ ავად გამხდარა. მისი განკურნება ვერავინ შეძლო. ნინომ ყველასთვის მოულოდნელად დედოფალი სასწაულებრივად განკურნა. დედოფლის განკურნება საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ მეფე მირიანს თავისი რწმენა დაეტოვებინა. დედოფალი კი მეფეს დაუღალავად შეაგონებდა ქრისტიანობა ერწმუნა, თუმცა ამაოდ, განკურნების დღიდან დედოფალი ნანა გვერდიდან არ მოშორებია ნინოს. ამ დროსთვის წმინდა ნინომ არაერთი ქართველი გააქრისტიანა და როცა რწმენის საქადაგებლად საქართველოს მთაში წავიდა, მას დედოფალიც თან გაჰყვა.

ერთ დღეს მეფე სანადიროდ გაემართა, წასვლამდე კი ქურუმებს დაუბარა, ჩემი ცოლი როგორმე დაარწმუნეთ, თავი დაანებოს ჯვარცმულის თაყვანისცემას, თორემ მასაც არ დავინდობ როგორც დანარჩენ ქრისტიანებსო. მეფე სანადიროდ გაემართა, მაგრამ მოულოდნელად ირგვლივ უკუნი ჩამოწვა. მირიანი ვერაფერს ხედავდა. შეშინებული მეფე მუხლებზე დაეცა და საკუთარ კერპებს დახმარება შესთხოვა. სინათლე არსაიდან ჩანდა. სასოწარკვეთილ მირიანს ნინოს ღმერთი გაახსენდა. მას გულით შესთხოვა უკუნიდან გამოეხსნა და დაჰპირდა, რომ მის რჯულზე მოექცეოდა, სამუდამოდ თაყვანს სცემდა ჯვარს და სალოცავებს ააშენებდა. დაასრულა თუ არა მირიანმა პირველი ლოცვა, მოხდა სასწაული, სიბნელე გაიფანტა და ირგვლივ ყველაფერი განათდა. გახარებული მეფე უკან დაბრუნდა, ნანა დედოფალს

მეთი გვლიწ-ოვიცილებით შეიცვალოს ქვეყნის მომავალი

მიეგება და 50 მხლებელთან ერთად ნინოსკენ გასწია.

ნინო ამ დროს მაყვლოვანში საღამოს ლოცვას აღასრულებდა. ეს ადგილი ახლანდელი სამთავროს მონასტრის ეზოშია. მირიანს გულით სურდა უფლის სადიდებლად სალოცავი აეგო, ამიტომ ნინოს ჰკითხა სად სჯობდა მშენებლობის დაწყება. ნინომ უპასუხა, რომ ეს მეფეს თავად უნდა გადაეწყვიტა. მეფემ მაყვლოვანი არჩია, როგორც რჩეული ადგილი. იმ ადგილას, კი სადაც ახლა მცხეთის ჯვარი დგას, ხის ჯვარი აღმართა. ჯვარი დადგა თხოთის მთაზეც, იქ, სადაც სასწაული გადახდა თავს. მესამე ჯვარი კი უჯარმაში იდგა. ამ დროს ბიზანტიის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული. მირიანმა სწორედ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს სთხოვა საქართველოში ქრისტიანი მღვდელთმსახურები გამოეგზავნა რათა მის სამშობლოშიც მონათლულიყო ხალხი.

ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მირიანი ხშირად ეკითხებოდა წმინდა ნინოს რჩევას და მისი სწავლების მიხედვით განაგებდა ქვეყანას. წმინდანის გარდაცვალების შემდეგ, მირიანმა მაყვლოვანში, ნინოს საცხოვრებელ ადგილას ეკლესია ააშენა, მის სახელთანაა დაკავშირებული სვეტიცხოვლის პირველი ეკლესიის მშენებლობაც და ლეგენდაც სასწაულმოქმედი სვეტის შესახებ.

მირიანი მისი ანდერძის შესაბამისად, სამთავროს ეზოში დაკრძალეს. მეფე თავს ღირსად არ თვლიდა უფლის კვართთან მიახლოვებული ყოფილიყო. რამდენიმე წლის შემდეგ დედოფალი ნანაც გარდაიცვალა. მათი კვალის გამგრძელებელი უფლისწული რევი გახდა, რომელსაც მეფემ ქვეყნის პატრონობა და ქრისტიანობის ერთგულება უანდერძა.

სასტუმრო ჯილოჯი, რომელიც...

***დასასრული**

ოთხივ კუთხივ გაწვდილი მკლავებით, გარეგანი ფორმები და მასები ფაქიზი მხატვრული დახვეწილობითაა გადანაწილებული და გამაოგნებელი ბუნებრიობით ერწყმის გარემოს. ოთხ მძლავრ ბოძზე დაყრდნობილი, ცისკენმსწრაფი გუმბათის ყელი თექვსმეტი სარკმლითაა დამშვენებული და ტაძრის ერთიანი პროპორციები თითქოს სწორედ მას ემორჩილება.

კედლების ქვიშაქვის ფერი და ჩუქურთმათა გრაფიკული ინტიმი არქიტექტურულ დიდებულებას არბილებს, ათვინიერებს და ტაძარს მორწმუნეთათვის შინაურსა და მახლობელს ხდის.

მცხეთის კიდევ ერთი საკვირველება ჯვრის მონასტერია. ქრისტიანობის მიღების პირველივე წლებში მეფე მირიანს მაღალ მთაზე ხის ჯვარი აღუმართავს, რომელსაც მხოლოდ ქართველები კი არა, კავკასიის სხვა ქრისტიანი ერებიც თაყვანსა სცემდნენ. 586-604 წლებში ერისმთავარმა სტეფანოზმა აქ ააგო ტაძარი, რომლის ნახვისას ხელშესახებად იგრძნობა კავშირი უფალსა და ადამიანურ ზესწრაფვას, ცასა და მიწას შორის.

ჯვარი იშვიათი ხუროთმოძღვრული სივრცეა, რომელსაც განუმეორებელი ხიბლი აქვს ნაწილების სრული წონასწორობისა და ჰარმონიული პროპორციების გამო. გგონია, რომ იგი კი არ ააშენეს, არამედ ამ მთაზე ღვთის ნებით ამოიზარდა. მოვარდისფრო- ქვიშისფერი, საუკუნეთა მანძილზე ოდნავ შეჟანგული თლილი ქვებით ნაშენი, მოურთავი ტაძარი ასომთავრული წარწერებითა და ფრესკებითაა დამშვენებული. შენობის ბირთვს რვაწახნაგოვან ყელზე დამაგრებული გუმბათი ადგას. ეს დომინანტური გუმბათი განსაზღვრავს ყველა სხვა ფორმების თავისებურებას. მაღალ მთაზე ასულს, შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ნიავს მირონის სურნელი მოაქვს. აქაური მოლივლივე სიმაღლის განცდას კი, არაფერი შეედრება. მოკლედ, ამ ტაძარს ძნელად თუ აღწერ – იგი უნდა ნახო.

რაკიღა მცხეთა თავად ისტორიაა, აქ არსებულ სანახაობათა ნუსხაც კი დამღლელია, თუმცა ყველა სტუმარს ვურჩევთ, ზემოაღწერილ არქეოლოგიურ ნაშთთა და ძეგლთა გარდა, აუცილებლად მოინახულონ უძველესი სამთავრო, VI ს-ში დაარსებული ზედაზნის მონასტერი, შიომღვიმე (VI–XVIIIს.ს.), XIII ს-ის ნათლისმცემლის ბაზილიკა, ადრეულ და შუა საუკუნეებში აშენებული წილკნის, თელოვანის და წეროვანის სამონასტრო კომპლექსები, კალოუბნის წმ. გიორგის ეკლესია, ბებრის ციხე და სხვა ციხეთა ნაშთები. როცა დაიღლებით და მოგშივდებათ კიდეც, გემრიელი საჭმლის მოძებნა არ გაგიჭირდებათ, რადგან მცხეთაში ლამის ყოველ სახლში ჯადოსნურად გემრიელ ქართულ კერძებს მოგართმევენ. თუ დაისიც წამოგეწევათ, აუცილებლად შენიშნავთ, როგორ ეშვება ტაძრების გუმბათებზე ცისარტყელის მსგავსი ფერადოვნება.

ზაზა დოდაშვილი.

,,ახალი განთიადი,, იძიებს ანიმიერებლი ბუნებისებს ჩვიონის ანგანეთი ოთოდ-მეფიანის შეხვედრილი. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - ოთოდოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მეფიანიში! გამოგვიგზავნეთ ანიმერები ოთ ანახლოანი ოთოდები!

გინდათ, გაეცნოთ საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?

გინდათ, გაიგოთ ეთისტაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" ოთ განლოთ ჩვენი მეთხვილი!

გამოიწერეთ „ახალი განთიადი“!

საერთაშორისო ტურნირზე

3 და 5 ოქტომბერს ქალაქ ამბროლაურში ჩატარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის გურამ

საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ტურნირზე კასპის რაიონის მოჭიდავეებმაც მიიღეს მონაწილეობა და გამარჯვება ედი ბუღულაშვილმა მოიპოვა, მან 76 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა (მწვრთნელი თეიმურაზ გაბოძე). საპრიზო ადგილზე გასულ მოჭიდავეებს შესაბამისი ხარისხის სიგელები, მედლები და თასები გადასცეს.

... თუ მშობლებს არ სწყალიათ

გასული წლიდან მოყოლებული სულ ვწდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სწყალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე შარშან და თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გავფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ავტრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და მალულ საგანძურზე...

წინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოღონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოიწეროთ გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, მობრძანდით რედაქციაში! გაიფორმეთ ხელმონერა, დაატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს

„კეხურა„

„ყიბოლნა„ გილოცავთ ცვლილებებს

მეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი მეგობრების, მეგობრიმეგობრების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, ამბები. ისინი გამოქვეყნდებიან ჩვენს გაზეთში





გამოიწერეთ "ახალი განთიადი" და გახდით ჩვენი მკითხველები!

ბატონო ბესიკ ბოლქვაძეს

ბატონო ბესიკ, ბოლო ორი კვირის განმავლობაში ორჯერ ვიყავით ბატონ ალეკო ბოლქვაძესთან, ორივე ჯერ ბატონ ალეკოს ბევრ ადამიანთან ერთად ველოდებოდით, ბევრ ადამიანთან ერთად ველოდებოდით, ბევრ ადამიანთან ერთად ველოდებოდით,